საქართველოს მთავრობა

№ 07-2/421
"30" 09 2024
1399

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე, 66-ე მუხლებისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად, დოკუმენტს - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენებას - „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტს - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ლაშა ხუციშვილი,

ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე - გიორგი კაკაურიძე. ასევე, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე - გიორგი კაკაურიძე.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ძ[4]“ ქვეპუნქტის, თავდაცვის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 198-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ თავდაცვის ძალების რაოდენობას.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე - გრიგოლ გიორგაძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

N27122
30.09.2024